№ 37 16 აპრილს, პარასკევი 1866—1876 16 აპრილს, პარასკევი № 37

# დროება

**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახ-ლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-ცუზულ ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრული, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერითი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლს აქვს პატივი განუცხადოს საზოგა-დოებას, რათა თავად-აზნაურთ ამორჩევა დაიწყობა მომავალ მაისის 10-სა.** (3—3)

## საქართველო

### დღიური

ჩვენ მოგვივიდა რედაქციაში შემ-დეგი ამბავი: ერთი იმერელი ლაქია მიდიოდა თურმე კუკიის ხიდზე და შეუხედავს, რომ ვილაც ყულვაშ მო-პარსული ჰსცემდა ერთს ბიჭს და ეუბნებოდა „დავაი მანეთიო ან ბილეთიო.“ მე, შიშისაგან დაბნეუ-ლი, გავიქეცი. შემნიშნეს თუ რა, მა-შინვე გამომიდგნენ, დამიჭირეს და მი-თხრეს „დავაი ბილეთიო;“ მე ვუთხარი, რომ ეხლა ეს კანონი აღარ არის, მოსპეს მეთქი.— იმათ განმიმეორეს რომ „დროება“ სტყუის, არაფერი იცისო, მიბრძანდი ქალაქის ბამგეო-ბაში და იკითხე, თუ იქ ეხლა, მა-ნეთის მაგიერად, ათ მანეთ ნახევარი არ გაუხდიათო. მეც სანამ არ და-ვპირდი მანეთს, არ გამიშვეს.

ვსთხოვთ, ვისაც რიგია, ყურად-ღება მიაქციონ ამგვარ უწესოებას.

* * *

გაზ. კავ. გვაცნობებს, რომ 5 აპ. ერთს თელაველ აზნაურთაგანს ვ. ზურაბოვს, რომელიც მონავალი მუ-შთაიდიდამ ცხენით თავის ძმისწუ-ლით, შეხვედრია ფაეტონში მსხდომთ თფ. მცხოვრებთ ს. დიდაროვსა და გ. ანტონოვსა, რომელთაგანი დიდა-როვი დაუჭრია მას თავში და მხ რ-ში. დაჭრილი გაუგზავნიათ სამოქა-ლაქო საავათ-მყოფოში და ვ. ზურა-ბოვი კი დაიჭირეს ფოთი-ტფილისის რკინის-გზის ჟანდარმის კამანდის უნ-ტერ-ოფიცრებმა პ. საპოლტიანსკიმ და სამხედრო ოლქის შტაბის მოსამსა-ხურემ ალექსანდრე არხიპოვმა.- ყვე-ლა ეს ცნობა გარდაეციათ მესამე განყოფილების მომრიგებელის გამო-მეძიებლისათვის, ამბობს გაზეთი.

* * *

დუშნარიდგან გვატყობინებენ, რომ იქაური მცხოვრებლები ძალიან გა-ჭირვებაში არიან ქურდებისაგან; არ შეუძლიან, თურმე, კაცს, გაუშვას ან ცხვარი, ან ძროხა ან ცხენი.— რა-ღაც ახალი სისტემა გამოუგონიათ ცხენის ქურდობის: დაიჭერენ სხვის ცხენს, შეაჯდებიან ზედ თავის უნა-გირს და თავის ცხენს წაიყვანენ მა-რქაფათ გასასყიდლათ. გაჰყიდის თუ არა, რამდენიმე დღის ან თვის შემ-დეგ მამასახლისს გამოუცხადებს, ცხე-ნი დამეკარგაო; წამოვა სამძებრათ, წაიღებს თან მოწმობას, მივა იქ, სა-დაც გაჰყიდა თავის ცხენი და წამო-იყვანს უკან.— ბარემ დატოვებულს პირუტყვს ელა ჰსჩივი, შიგ სახლ-ში გვიცვივდებიან და იქ გვპარვენო: დიდ შაბათს ერთ კაცს აღდგომის-თვის გაკეთებული სადილი მოჰპარეს და მეზობელს რომ არ გაეგზავნა სადილი, აღდგომას უსადილოთ და-რჩებოდა.

* * *

„ტფ. მოამბეში“ იწერებიან, რომ ზაქათალის მაზრაში, სოფელს ქ.ხს, რაღაც ახალი, გაუგონარი ავათმყო-ფობა გაჩენილა, რომელიც აგერ იანვრიდამ დღემდის არ აკლებს ხელს არათუ მარტო იმ სოფლის მცხოვ-რებლებს,— მახლობლივ სოფლებშიაც გადასულა; კვირაა არ გავა, თურმე, რომ სამი, ოთხი კაცი არ მოკლას ამ ავათმყოფობამ. გახდება თუ არა ავათ, მესამეს, ან მეოთხე დღეს კვდება; ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ ავათმყოფი იმავე დღეს კვდება.

* * *

ესვე გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსეთში ამ უკანასკნელ გამოანგა-რიშებით ყოფილა 540 მამათ და დედათ მონასტერი. ჰფლობენ 700 ათას დესიატინას; შემოსავალი აქვთო არა ნაკლებ 9 მილიონისა.

* * *

ამავე გაზეთში ჰსწერია, რომ ამ ჟამად პარიჟში გაზეთის „ფიგაროს“ აკციონერების კრება ყოფილა. ამ დღეს პატივცემული ვილმესსანი ისე მახვილობდა და მოსწრებულს სიტყვებს ამბობდა, როგორც მისი გა-ზეთი.— შემდეგ ანგარიშის გაწმენ-დისა, მან წარმოსთქვა: „როცა მე გავქრები, თქვენი აქციები მსწრაფლ დაეცემიან. იტყვიან: აღარ არის ვილმესსანი, აღარ არის ფიგარო; მაგრამ ეს სიცრუვეა. არ ვიქნები მე, იქნება სხვა, იქნებიან დღევანდელნი თანამშრომელნი და საქმე ისე წავა, როგორც დღემდის მიდიოდა.— ამი-სათვის გირჩევ მე თქვენ, არ მიეცეთ სასო-წარკვეთილებას, ჩემს სიკვდილს შემდეგ.“ შემოსავალი ჰქონია ორ მილიონ ფრანკზე მეტი.

### „დროების“ კორრესპონდენცია

#### ვაჭრობა.

„ქართვლის დუქანი
სომხის გუთანი!“

თუ ვინიცობა არის ქართველმა დაიწყო ვაჭრობა და ხეირიანათ ვე-რა მოაგვარა რა, მაშინვე სომეხი და-უწყებს დაცინვას და ეტყვის: „ვა! ოხერო, არ გაგიგონია, რომ დაწყე-ვლილია „ქართვლის დუქანი და სომ-ხის გუთანი?!“ აბა მამა გიცხონდება, რა შენი ხელობა არის „დავთარი და ჩოტკი“, წადი შენ „ჰოროველო და-იძახე!....“ აგრეთვე, თუ სომეხმა მოჰ-კიდა ხელი გუთანს და უხეიროთ მიჰყ ვა ხნისა და თესვის საქმე, მა-შინ გაგიხარიანთ ქართველიც ნაცვ-ლად შეჰთხზავს ხოლმე სომხურისა-ვე კილოთი: „ვა, მამავ! ე ჰოტა ხა-რი რომ აგრე უარშიობს ულიტნე და გაჰჭიმავს ქაპანს. არა შვილო, რა შენი საქმეა გუთანი წადი შენ ჩოტკის ჩხაკი-ჩხუკით თაგვები დააფ-თხე დუქნიდამ, თორემ ნარმას სულ

## ფელეტონი

### ერთი ლექცია კავკასიაზე

„აქ შევჩერდეთ ცოტა, რომ ორი-ოდე სიტყვა ვსთქვათ სომხეთის ის-ტორიაზე, რომლითაც სომხეთი გა-საცვიფრებელ მსგავსებას წარმოგვი-დგენს საქართველოსთან. სომხები შეადგენენ ერთს უძველესს ხალხს. მათი არსებობა მომდინარეობს წარ-ღვნის დროიდგან. სომხეთის განსა-კუთრებული მსგავსება საქართველო-სთან ის არის, რომ, როგორც სა-ქართველოს, ეგრეთვე მისი ბედი ირ-ყეოდა აღმოსავლეთის და დასავლე-თის შუა: ჯერ ვიზანტიელები და-სავლეთით, და სპარსელები აღმოსა-ვლეთით, ებრძოდენ ერთმანეთს სა-ქართველოს და სომხეთის ხელში ჩა-გდებისათვის; შემდეგ ოსმალო და-სავლეთით და ისევ სპარსელები აღ-მოსავლეთით.

კიდევ მეორე მსგავსება ის არის, რომ ორივე ხალხის უმჯობესი მდგო-მარეობა ერთსა და იგივე დინასტიის ხელ-ქვეშ იყო. ეს იყო ბაგრატოვა-ნების დინასტია. მათ დროს სომხე-თის სატახტო ქალაქი იყო ანი, ეხ-ლანდელ ყარსის მახლობლად. ზე-პირ გადმოცემა ამბობს, რომ ამ ქა-ლაქში 100,000 სახლი და 1,001 საყდარი იყოვო.— საზოგადოთ უნდა ვსთქვათ სომხებზე, რომ მათ აქვსთ ძლიერ ძველი ლიტერატურა. ერთს დროს ეს ლიტერატურა ძლიერ მდი-დარიც იყო. ეხლა მათ აქვსთ, სხვა და სხვა ქვეყნებში თავიანთი კოლო-ნიები, რომელთა შორის უმთავრე-სი მეხიტარისტების კოლონიაა ვენე-ციაში *). მათი ეკლესია თუმც დიდ რიცხვს არ შეიცავს, მაგრამ თანა-მერჯულების შორის კავშირი ძლიერ მაგარია, და მათი განწყობილება სხვა სჯულის ხალხთან წარმოგვიდგენს ფურიების ხასიათს. რომის კათოლი-კები ძლიერ ცოტაა მათ შორის. მა-თი უმთავრესი ეკლესია არ ემორჩი-ლება რომის პაპას.

სომხებს ჰყავსთ თავიანთი კათო-ლიკოსი, რომელიც ზის ეჩმიაძინში. ამ ქალაქის სიძველეს ხალხი გამო-ჰსთქვამს თვით მისის სახელით: ეჩმი-აძინი ნიშნავს „ჩამოვიდა“. ამით უნდათ გამოჰსთქვან, რომ ნოე რომ წარღვნას გადარჩა, ამ ქალაქში ჩა-მოვიდაო.

აი ეს სომხეთი იყო რუსეთის და სპარსეთის შუა ომის მიზეზი, რომე-ლიც გაგრძელდა 1826-1828 წ. ამ ომ-თავი გამოიჩინა გენერალმა პასკევი-ჩმა, რომელმაც გაიმარჯვა სპარსეთ-ზე და მიიწია არარატის მთამდი. 1828 წ. რუსებმა მიითვისეს გარდა იმ ქალაქებისა, რომელნიც მას დარ-ჩა 1813 წ., სომხეთის ერთი ნაწილი. ამ ნაწილმა შეადგინა ამიერი ერი-ვანის გუბერნია. პასკევიჩს მიეცა სა-ხელი „ერივანსკი“, ამ მხრის დაპ-ყრობისათვის, როგორც სხვა გენე-რალმა მიიღო „ვარშავსკის“ სახელი, ვარშავის დაპყრობისათვის, და სხვამ კიდევ „ტავრიჩესკი“ ტავრისის აღე-ბისათვის და ისე შემდეგ.

იმავე წელს პასკევიჩმა მიიწია აზ-რუმისკენ ოსმალეთზე და იქაც გა-იმარჯვა. 1829 წელს რუსეთმა და-იმკვიდრა ანაპა, სოხუმი, ფოთი და ახალციხე, ე. ი. მთელი დასავლეთის კავკასია.

ოსმალეთმა ხელი აიღო მთიულებ-ზედაც, რომელნიც მის გავლენის ქვეშ იყვნენ. მაგრამ რუსებს 35 წლის ომი კიდევ დაჰსჭირდათ მათი დამორ-ჩილებისთვის. წარმოიდგინეთ, რომ ამ მუჭა ხალხმა, რომელიც არ გა-დასცილდებოდა ერთს მილიონს, ამ-დენხანს გაუძლო რამოდენიმე ათ მილიონს რუსებს! ეს ადგილი სწო-რეთ ნამდვილი უფსკრული იყო რუ-

*) მეხიტარისტები შეადგენენ სასულიერო ძმობას. ეს სახელი მი-იღო ძმობამ მისი პირველი დამაარ-სებელის ბერისაგან, რომელსაც ერ-ქვა პეტრე მეხიტარი (მე-XVIII სა-უკუნის დასაწყისში). მან დაუტევა თვისს ხალხს სხვა თხზულებათა შო-რის ერთი დიდი სომხური ლექსი-კონი და სომხური გრამმატიკა; ორი-ვე ძვირფასი თხზულებაა. მეხიტა-რისტების მიზანია კათოლიკობის და განათლების გავრცელება მათ თანა-მემამულეთ შორის, და სომხეთის ისტორიასთან და ენასთან ევროპის გაცნობა. მათ აქვსთ სკოლები ვენე-ციაში, პარიჟში, კონსტანტინოპოლ-ში, ვენაში, ყირიმში, ტრანსილვანი-აში და სხვ.— რამოდენიმე სტამბებიც აქვთ.

(შენიშვნა ა. ჭ.)

დაგიკუწამეს!... აი ამგვარმა გარემოებამ შეგვიდგინა ჩვენ ანდაზა: „ქართველის დუქანი, სომხის გუთანი!“

ეხლა ჩვენ ეს უნდა ავხსნათ, რომ რისთვის არ ეხერხება ქართველს „ვაჭრობა“ და რისთვის არ ეხერხება სომეხს „გუთნის დედობა“, როდესაც რომ ბუნებისაგან თანასწორის ჭკვით, გონებით, სახსარ-შედგმულობით და სხვ.... ვართ ნაშობნი დედამიწაზედ?

ამისათვის, ამ საგნის განხილვას რამოდენათაც შემიძლიან, დავიწყებ.

დასასრულ მეოთხე საუკუნისა, ესე იგი სამას ორში, ქრისტეს დაბადებამდის, როდესაც ფარნაოზ პირველი გახდა საქართველოს მეფეთ, თქვენც მრავალთ უწყით, რომ ამ ნეტარხსენებულმა მეფემ დაჰყო ხალხი სხვა და სხვა უწყებებათ, რომელთ რიცხვში ვაჭარნიც განსაკუთრებულს უწყებას შეადგენდნენ. აი მას აქეთ დაიწყო ჩვენში: თავადმა-თავადობა; აზნაურმა-აზნაურობა; გუთნის დედამ—მიწის მხვნელობა; ვაჭარმა—ვაჭრობა და სხვ.... მაგრამ რადგანაც საქართველოს იმავ თავიდამვე ამ აწმდგომ საუკუნომდის რიგიანი მოსვენება არა ჰქონია შინაგანი და გარეგანი მტრებისგან; ამისთვის ყოველი უწყების შვილი, თავსა და მამულის დაცვის გულისათვის ბრძოლის ველზედ გამოდიოდა და დღიურ არსებობისათვის ძლივს ჰხნამდნენ და ჰსთესამდნენ. ხშირათ მღვდელიც კი ოლარს იძრობდა, თურმე და მის ნაცვლად, მახვილს და სიათას მოავლებდა ხელსა და იგერებდნენ მტერს, არამც თუ ვაჭარს თავისი „დავთარი და ჩოტკი-ლა“ შერჩენოდა მაგრათ ხელში. ამიტომაც ქართველი ვაჭარიც მიწის მბარველათ და მხედრათ შეიცვალა.

წარსული საუკუნოების ქართველების ვაჭრობას, თუმცა სიტყვიერი ზღაპრული გარდმოცემა გვაცნობებს, რომ ვითომც ქართველთ-სოვდაგარ ვაჭრებს ევლოთ სავაჭროთ მაღრიბში, ასსურეთში, ჩინეთში, სპარსეთში, ინდოეთში, სტამბოლში და სხ... მაგრამ საქმით ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი ჯერ კი არა გვიჭირავსრა.

ამ აწმდგომის საუკუნის დასაწყისამდის ყველამ ვიცით, თუ რა დღე ადგა საქართველოს და მამული-შვილისაგან რასა თხოულობდა!

როდესაც ამ საუკუნის დასაწყისიდამ უძლეველი რუსეთის პორფირი გადავიფარეთ, შევჩერდით სულის მოსაბრუნებლათ, გავიძრეთ ძველი კანი და ახალში შევედით, ჩვენმა ახალმა დრომაც ისე მოგვიხმარა, რასაც ჩვენგნით მოელოდებოდა და რაშიაც უფრო ნიჭიერნი და დახელოვნებულნი ვიყავით. დღეს ეს ძალა და ნიჭი ჩვენთვის უქმე დღეთ შეიცვალა, რომელიც თუმცა არსებობს მაგრამ მუშაობა არ შეიძლება. დღეს მყუდროობამ ავგვიხილა ჩვენ თვალები. თუმცა მართალია ზოგიერთნი მოწინავე ნასწავლი კაცები ამბობენ, რომ „ომი არის კაცის თვალის ამამხილებელი და დამაწინაურებელი ცხოვრებისაო!.....“ მაგრამ მე ამ ფილოსოფიას ნახევრობამდისინაც ძლივს მივყვები, ამიტომ, რომ ბუნებით „მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰშობს!“ აგრეთვე, ომი ჰშობს მამაც მხედარს და მის შემმუსვრელ იარაღს, ხოლო მყუდროობა-კი ამ ორ საგანს გარდა სუყველას!

ვიცი ამ ჩემს სიტყვებზედ მიბრძანებთ, რომ ამ სამოცდა თექვსმეტი წლის განმავლობაში, რა დაგვემართა, რით ვერ გავიგეთ და შევითვისეთ ან ვაჭრობა და ან სხვ?...

ეს ძალიან პატიოსანი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ აი დამაბრკოლებელი მიზეზი რა გახლდათ:

აი საუკუნის დასაწყისიდამ ვიდრე ათას რვაას ორმოცდა ცხრამეტამდის ჩვენნი მამანი ისევე მხედრობას მისდევდნენ. ერთის სიტყვით, ისევე მხედრობა ჰსუფევდა მტკიცეთ მათ ძვალსა და რბილში და ისე მაღალ ხარისხზედაც იყო დადგენილი, რომ ვიდრე მთელს კავკასიას დაიმორჩილებდნენ, ქალი რომ ეთხოვნა ვისმეს ცოლათ, არ მისცემდნენ, თუ სასიძო სამხედრო უწყებისა არ იქნებოდა და თუ სისხლის ჯვარიც (როგორც უწოდებდნენ ხოლმე) არ ეკიდებოდა გულზედ ნიშნათ „ვაჟკაცობისა.“ უჩინო ხალხს ბუზებივით უყურებდნენ. ვაჭარს რომ ქალი ეთხოვნა ჩვენის თავად აზნაურისათვის, ამ ბრწყინვალეთ ძალიან თავს დამცირებათ და ქვეყანაში შესარცხვენათ მიაჩნდათ. ოღონდ თავათ-აზნაურთაგანი კი იყოს სასიძო და თუნდ მჭადიც ნუ ექნება საჭმელათაო! აი ეს დრო იყო და ამ აზრისანი იყვნენ ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი თავად-აზნაურობა. (თითქმის ეხლაც შიგა-და-შიგ).

ჩვენს თავად აზნაურობას თუმცა ნეტარი დრო ხელში ეჭირათ, რომ ესარგებლნათ მით და ნათელი გზა დაედვათ მყობადისათვის, მაგრამ ძალიან დინჯათ მოიქცნენ... მზა-მზარეულათ მოსდიოდათ ყმებიდამ კულუხი და იკვებებოდნენ... ბურთი და მეიდანი, ჯირითი, სილა და სხვ.. ერთის სიტყვით, ფიზიოლოგიური მოძრაობა კი ღვთის-წინაშე ძალიან დახელოვნებული ჰქონდათ.

შვილების აღზრდას და მომავალ კეთილ-დღეობას ყური არ უგდეს. ეგონათ, რომ ეს დრო სულ ასე იქნებაო!

ერთი დრო ვის შერჩენია, რომ თქვენ შეგრჩენოდათ, ჩვენნო მამანო?

მე მრავალთ ვიცნობ ჩვენს პატივცემულთ მებატონეთაგანს, რომელთაც მთავრობა თვითეულის შვილში ყოველ წლიურად, ვიდრე ჰსწავლას შეასრულებდა, თითო თუმანს (ანუ ცოტა მეტ-ნაკლებს) აძლევ და მშობელს, რომ სამხედრო სასწავლებელში *) თავისი შვილი გამოეზარდნა.

როდესაც ამ აღნიშნულ სასწავლებლებში შეასრულეს ჰსწავლა და გადავიდ გადმოვიდნენ პოლკებში აფიცრებათ, ამათის მიბაძვით იგრიალა მთელმა ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ და ამ სამხედრო სასწავლებლის და მის მიმართულებას მიაწვა. შემდეგ თუმცა ფულებს აღარ იძლეოდნენ შვილის სასწავლებელში მიცემისათვის, მაგრამ ვინც კი ისურვებდა ამ აღნიშნულს სასწავლებელში ჰსწავლას, დიდის სიამოვნებით ღებულობდნენ; და ზოგთაც რუსეთშიაც ჰგზავნიდნენ კორპუსებში, ან სამხედრო გიმნაზიებში.

ეხლა აქ ცხადი საქმეა, რომ სულით და გულით სამხედროთ მომზადებული კაცი იმავ სიყრმითგანვე, სხვა ხელობაში იშვიათათ ივარგებს. თქვენ ის არა ბრძანოთ, რომ დღეს მხედარი ვარ—ხვალ ვაჭარი ვიქნებიო! ამისი აღსრულება მხოლოდ მაშინ შეუძლიან კაცს, როდესაც ჩჩვილობიდამვე ამ ორივე საგანს შეისწავლის და შეითვისებს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ცარიელი დარჩება.

როგორათაც საზოგადოთ, ეგრეთვე ჩვენს საქართველოსათვისაც, ათას

*) როდესაც პარდონის ლინიები დაარსდა საქართველოში და ჯარებმა დაიბანაკეს ადგილობრივ, ამდროს თვითეულმა პოლკმა ცხენოსნმა, თუ ქვეითმა, რომელსაც კი შეძლება ჰქონდა, თავ-თავისთ სახელობაზედ გახსნეს სამხედრო შკოლები, რომელთაგანი ზოგიერთები დღესაც არსებობენ,—საცხენეში მანგლისში და ხვვ.

ავტორი

---

სებისთვის, სადაც იხოცებოდა მათი ჯარი და იფლებოდა მათი ფული.

ომი მიჰყავდათ კავკასიის მთის ორივე მხარეზე: აღმოსავლეთით ჩეჩნებთან და ლეკებთან, დასავლეთით ჩერქეზებთან და აბხაზებთან. ჩვენც ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს სამხედრო მოქმედება, მით უფრო, რომ ეს ორი მხარე წარმოგვიდგენს ორს განსხვავებულს ხასიათს.

აბხაზების და ჩერქეზების ომობის განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ იგინი არასოდეს არ შეერთებულან ერთ ჯარათ, რომლისამე ერთის მოთავის ხელქვეშ. არა თუ ეს ორი ხალხი ერთმანერთთან არ შეერთებულან, არამედ არც ჩერქეზები, ერთის მხრით, და არც აბხაზები, მეორეს მხრით, ერთიანად არ დასცემიათ რუსებს. თვითო სოფელი ცალ-ცალკე შეებმოდა ხოლმე რუსის ჯარს. ამ გვარი სამხედრო ზომა მართლაც მიწყობილი დარჩა ადგილობრივ მდებარეობასთან. ამ მიზეზით აიხსნება, რომ თუმც რუსებმა შეიძლეს რამოდენიმე ციხის აშენება შავის ზღვის პირზე, გაიჩინეს აგრეთვე რამოდენიმე გემი, მაგრამ საქმე წინ არ მიდიოდა. რუსები აბრალებდენ თვისს დამარცხებას ინგლისს და ოსმალეთს, ვითომც ეს უკანასკნელნი ხელს უწყობდენ კავკასიელებს თოფის წამლით და სხვა რამეებით. მაგრამ რუსეთს ერთი შეცდომა მოუვიდა: მათ წაბაძეს მთიულებს, და ამ უკანასკნელებსავით პატარ-პატარა წყობებით აგზავნიდენ ჯარს. ეს ზომა, რასაკვირველია, პირველებს, უხდებოდა, რადგანაც ისინი მაღალ მთებზე იყვნენ, და რუსებისთვის კი, რომელნიც ყოველთვის მთების ძირში იდგნენ, უვარგისი და მავნებელიც დარჩა *).

ბოლოს რუსები მიხვდენ თავის შეცდომას და მრავალი ჯარი ერთად მოაყენეს ამ ხალხებს, რის მადლით მათ დააბოლოვეს 1864 წ. ეს გრძელი ბრძოლა. აბხაზები და ჩერქეზები, როგორც ცალ-ცალკე სოფლებით ებრძოდნენ, ეგრეთ ცალ-ცალკე სოფლებით დამორჩილდნენ. ხოლო, რუსები მალე დარწმუნდნენ, რომ მათი გარუსება შეუძლებელი იყო. შემდეგ ჩერქეზები და აბხაზები გავიდნენ მათის ქვეყნიდგან...

ოსმალეთმა მიიღო ეს ხალხები და დაასახლა ბოლგარიის და სერბიის სამზღვრებზე. მათს ადგილზე რუსებმა გადმოასახლეს შინაგან რუსეთის მცხოვრებნი და დააფუძნეს ყუბანის და ჩერნომორსკის თემები და სოხუმის განყოფილება.

მეორეს მხარეზე, დასავლეთით, კავკავის და ბაქოს შუა, ომი სხვა სახით მიდიოდა. განცალკევებულად შეტაკების მაგიერ მთიულები ომობდნენ აქ შეერთებულის ძალით. აქ გამოჩდენ ნიჭიერნი პირნი, რომელთაც მოაგროვეს გაბნეული ძალა. უმთავრესი და უფრო ნიჭიერი კაცი მათგან შამილი იყო. ჯერ უნდა ვსთქვათ, რომ ის იყო ერთის სექტის დამამყარებელი, სექტის, რომელსაც ჰქვია მიურიდიზმი. მართალია, ამაზე წინაც არსებობდა ეს სექტა ყაზი მოლის ხელქვეშე, მაგრამ ამ უკანასკნელის შემდეგ, სექტა დავარდა და თითქმის კიდეც გაჰქრა. მხოლოდ შამილის გამოჩენისათანავე დაიბრუნა თვისი ძალა ამ სექტამ. შამილმა თვისს სჯულით გაშმაგებულებას დაუმატა სასწაულები. გარდა ამისა, მას ჰქონდა სახელმწიფო წყობილების ნიჭი. არათუ მან შეაერთა თავის მეზობლები, არამედ ეცადა კავ-

*) შევნიშნავ ჩემის მხრით, რომ აქ მარტო ადგილობრივი მდებარეობა არ უნდა ჰყოფილიყო მიზეზათ. მეორე მომქმედსაც ჰქონდა ადგილი: მთიულებს არ აქვთ საკმაოდ განმარტებული მოქალაქობა; ამის გამო ისინი ებრძვიან, როგორც გარეშე ბუნებას, ეგრეთვე კაცებს ცალ-ცალკე. ყოველს მათგანს მხოლოდ თავის თავის იმედი აქვს: მისი ხელი, მისი სიმარდე და მისი გამჭრიახობაა მისი მხსნელი ყოვლის გაჭირებისაგან. თვითოეულს რუსს კი არ აქვს ეს დაულხრომელი იმედი თავის თავის. ყოველს შემთხვევაში მას საზოგადოების და მისის რიცხვის იმედი აქვს. რამდენად მეტია ამ საზოგადოების რიცხვი, იმდენად მატულობს თვითოეულ წევრის გულადობა და იმდენად უფრო დიდი იქნება მისის მოქმედების შედეგი. აი რატომ, სხვათა შორის, ცალ-ცალკეობამ მთიულებს არ ავნო და რუსებს კი.

(ა. ჭ.)

რეაას - სამოცდა მეოთხე წელიწადი (რუსეთში 1861-ში 19 ს თებერვალს გამოცხადდა მანიფესტი), დაუვიწყარ დროს შეადგენს, რომელიც ღირსი არის ღღესასწაულობისა. ამ ბატონყმობის გადაწყვეტამ ბევრი რამ ნაკლულევანება დაგვანახვა და გვასწავლა. თუმცა აწმდგომი ჩვენი მამამებატონენი ძალიან ტუჩ-ჩამოშვებულები ბრძანდებიან ამ გვარ მოვლინებაზედ, მაგრამ მეც ამას ვიმეორებ რომ „უმჯობესია მოკვეთა ერთ ჩვენს ასოთაგანის, ვიდრე მთელი სხეულის წაწყმედა!“

ამ მოვლინების შემდეგ, როდესაც დავრწმუნდით, რომ ყოველი კაცი თავის მარჯვენაზედ უნდა იყოს დამყარებული და „ოფლითა შენითა ჰსჭამდე პურსაო“, მაშინა ვსცანით ყველამ ჩვენ ჩვენი ძალაცა და სისუსტეც. ამასთანავე უმადლოთ „წვეროსნებს“ (სტუდენტებს ეძახიან), რომ რაღაც უხილავი ძალი შემოიტანეს და მოგვფინეს, რომელთ მეოხებით მივაჭყიტეთ ყოველ საგანს თვალები.

მე იმას არ ვიტყვი, რომ ქართველი კაცი ნიჭიერი არ იყოს ვაჭრობისა, მაგრამ საქმე ამაში მდგომარეობს, რომ ვაჭრობა სპეციალურ ანგარიშსა თხოულობს და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელთ აღსრულება ჩვენს აწმდგომ ქართველს ასში ერთს ძლივს შეუძლიან სინამდვილით, რადგანაც მომზადებულები არა ვართ ჯერ ამისათვის. ჩვენს ბუნებაში ისევე მამა პაპური გულ-უხვობა, დაუზოგველობა და „სულ დაცალე“ არის გამჯდარი და ჩაკორწიწებული ხასიათში. მე ძალიან არ გამოუდგები ამ საგანს და აი გადავლეთ თვალი თბილისში, ან სხვაგან ჩვენ ქართველების ვაჭრობას (სარდაფებს) საიდამაც წარმოიდგენთ ნამდვილ სურათს, რომ მართლაც ჯერ ბევრი რამ გვაკლებია.

როგორი ვაჭრობა უნდა ჰქონდეს იმას რომელიც წელ წადში ხუთას თუმანსა ჰხარჯავს (აქვს, თუ არა აქვს) და ორასი თუმნის თანხა კი აქვს? აბა მიბძანეთ: ცხოვრებას ეყოს, თუ ვაჭრობამ ფეხი გაიმაგროს? ეჭვი არ არის, რომ ამ გვარათ წაყვანილ ვაჭრობას არა გაუხარია და ძალიან ფომფლე შედეგი მიუძღვის. სავაჭრო თანხას კაცმა ხელი არ უნდა ახლოს. მდიდრის ცხოვრების მიბაძვა, ღარიბს არ გამოადგება, თუ არა შეძლების გვარად. ეს სწორედ იმას წაჰგავს: „ბაყაყი რომ დაებაძა ირემს და უთხრა, რომ მეც შენზე ნაკლები არა ვარო, გაიბერა და გასკდა!“

ჯერ ჩვენ, ვაჭრობის, ქიშპობა (კონკურენცია) არავისთან არ შეგვიძლიან და მხოლოდ ამ საშუალებით უნდა ვისარგებლოთ: რადგანაც ყოველ გვარი ვაჭრობის წყარო დაიწყება შრომისაგან, ამისათვის ჩვენც ჩვენს წარმოებულს და მონაქმედს უნდა დავადვათ ღირსეული ფასი ჩვენის ჯაფის დაგვარად; და როცა ჩვენი ჯაფის ღირებული ჯილდო ხელში გვეჭირება, მაშინ ცოტ-ცოტაობით წავიწევთ წინ. ვინც თავის შრომის დაფასება არ იცის, ის სულ ისე დარჩება სხვის მუშათ.

სომხები და ებრაელები რომ ძალიან კარგათ დახელოვნებულები არიან ამ საგანში, რათ გიკვირთ?!

ამ რამდენიმე საუკუნოების წინ, როდესაც მაგათ საკუთარი სამეფოები მოესპოთ და ხმალმა ველარ გაუჭრა, მას აქეთ გაიქსაქსნენ აქათიქით ქვეყნებში და ამ ხელობას მიაწვნენ, რადგანაც უფრო ადვილია, (და ნივთიერათაც სარგებლიანი) ვიდრე წელ-წახრილი დილით საღამომდის მუშაობა. მას დროს აქეთ მაგათ მამა-პაპანი ვაჭარნი ყოფილან და შვილებიც იმათ კვალს მისდევენ. სომეხი ვაჭარი კაცი, როდესაც კვდება თავის შვილს ანდერძს უტოვებს, რომ, „შვილო, ჩემს ხელობას თავს ნუ დაანებებო!“

დასასრულ ამისა მოგახსენებთ, რომ ევროპის გამოჩენილი ბუნების გამომძიებელი უ. დარვინი ამბობს, რომ „ის მცენარე, ანუ სულიერი არსება, რომელიც კარგათ შეითვისებს და გაეწყობა დროსა და ჰავას, ძალიან დიდ ხანს იბოგინებს და გასძლებსო!“ ამისათვის ჩვენც იმას ვეცადნეთ, რომ რაც ეხლა ჩვენი მდგომარეობა და დრო თხოულობს, ის შევითვისოთ და შევისწავლოთ, რომ ძირიანათ არ აღმოვიფხვრათ და არ გადავგვარდეთ ამაზედ უარესათ.

გ. გრემელი

პიატიგორსკი.
10-ს აპრილს 1876 წელს.

# რუსეთი

— კაშევაროვამ, რომელმაც შეასრულა კურსი პეტერბურღის მედიკურ აკადემიაში და დაიკავა თეორეტიკული და პრაქტიკული ეგზამენი მედიკურ ფაკულტეტზე დოქტორის ხარისხზე, ამჟამად წარადგინა დისსერტაცია მოსკოვის უნივერსიტეტში და ისურვა თავის თხზულების დაცვა; მაგრამ, ისევ უკან დაუბრუნებიათ. ამაზე გაზეთი „ხმა“ ამბობს, რომ, მართალია, დისსერტაცია წარუდგინა პროფესორებს: პალუნინს და სხ., მაგრამ იმავე დროს მათ მოუვიდათ ქაღალდი სახალხო განათლების სამინისტროდამ, თუ რითი ხელმძღვანელობდა მედიკური ფაკულტეტი კაშევაროვის დისსერტაციის მიღების დროს, როდესაც რუსეთის კანონი ნებას არ აძლევს ქალებს, რომ მათ დოქტორის ხარისხი მიიღონ? და თუ კაშევაროვას და სუსლოვას მიუღიათ ლეკარის ხარისხი, ეს განსაკუთრებული შემთხვევა არის. აი მიზეზი, რომლის გამო კაშევაროვასთვის დაუბრუნებიათ დისსერტაცია.

# უცხო ქვეყნები

ბიუდჟეტის კომმისიის პრეზიდენტს გამბეტას გადაწყვეტით უთქვამს კომმისიაში, რომ სამხედრო და ზღვის სამინისტროთ ბიუდჟეტი გაადიდონ.

— გამბეტას და მისი გაზეთის საუკეთესო თანამშრომელს სპიულლერს უკმაყოფილება მოსვლიათ, რომელიც გათავებულა მით, რომ უკანასკნელს მიუტევებია გამბეტის გაზეთის რედაქცია. — ამბობენ, სპიულლერი მიიღებს მონაწილეობას ერთს ახალს გაზეთში, რომელიც ამ აპრილის თვეში გამოიცემაო.

— რამოდენიმე დეპუტატთ და მათ შორის სპიულლერს, შეუტანიათ პალატაში წინადადება, რომ ყველა კანონები, რომელიც პრესსას შეეხება, გააუქმონ.

— საფრანგეთის შინაგან საქმეების სამინისტროში დაკარგულა რამოდენიმე საქმეები ბიუფფეს მინისტრობის დროს.

— გარიბალდიმ გაუგზავნა წერილი იტალიის მინისტრთ რჩევის პრეზიდენტს დეპრეტისს, რომელშიაც ამბობს შემდეგს: „მას აქეთ, რაც რომ ვიქტორ ემმანუილმა დაუმტკიცა თავისი ერთგულება და მორჩილება იტალიის კონსტიტუციას და ხალხის ნებას, რომლის გამო მან შეჰსცვალა კაბინეტი და მოგანდოთ თქვენ და ზოგიერთს სხვას ჩემს მეგობრებს სამშობლოს მართვა, ჩემი აზრიც შეიცვალა ნაციონალურ საჩუქრის შესახებ; მივიღებ ამ სასყიდელს, რომელიც მიძღვნა იტალიის სულგრძელმა ხალხმა და კოროლმა. მე მხოლოდ შემიძლიან საყოველთაოდ განუცხადო მადლობა ნაციას და კოროლს მათის ჩემდამი სულგრძელის სასყიდლისათვის, რომლითაც მე დამაჯილდოვეს იმ ცოტა რაიმესთვის, რომელიც მივაგე სამ-

---

შირის დაჭერა აბხაზებთან და ჩერქეზებთან. მაგრამ აქ მან ველარ მიაღწია თავის მიზანს, რადგანაც ეს უკანასკნელნი არ იყვნენ მიჩვეულნი სხვებთან ერთად ომობას. — ბატონებო, ჩვენში ეგონათ და კიდევაც ჰგონიათ, რომ შამილი ჩერქეზების მოთავე იყო. სრულებითაც არა; იგი იყო ლეკების, თუგინდათ ჩეჩნებისაც, და არა ჩერქეზების მოთავე. როგორც ხედავთ, ამათთან კავშირის დაკავებაც ვერ მოახერხა.

სწორედ ამისის ნიჭით აიხსნება, რომ შამილმა დიდხანს გაუძლო რუსებს და თავის დასამორჩილებლად მოინდომა ერთი მეორეზედ ექვსი რუსის გენერალი. მართალია, თავიდამვე (1834 წ. დაწყებული) პატარა შეტაკებების შედეგები, ხან შამილისკენ და ხან რუსებისკენ იყო. ლეკებმა არათუ არა დაუთმეს რა რუსებს, არამედ წაართვეს კიდეც მათ რამოდენიმე კოლონიები, რომელნიც მათ ჰქონდათ კავკასიის ზევით.

ერთჯერ, როდესაც რუსებმა გაიმარჯვეს, მათ წაიყვანეს შამილის შვილი. შემდეგ ამისა რამოდენიმე ლეკი შევარდა საქართველოში და მათ მოიტაცეს ორი გამოჩენილის ოჯახის პირნი, — ჭავჭავაძისა და ორბელიანისა. რუსებმა გამოიხსნეს ეს უკანასკნელნი მხოლოდ შამილის შვილის დაბრუნებით. მაგრამ ეს შვილი დაბრუნებისთანავე მალე მოკვდა, რადგანაც პატარაობით პეტერბურღში ნაცხოვრმა ველარ გაჰსძლო თავის ქვეყანაში.

1845 წ. რუსებმა დაიწყეს უფრო მკვეთრულად მოქმედება. ამ წელს მათ გაგზავნეს გენერალი ვორონცოვი დიდის ჯარით. მას ჰქონდა დაბარებული, რომ ყოველი ღონისძიება მოეხმარა და როგორმე მალე დაებოლოებია ეს ბრძოლა.

შემდეგ ამისა მოაწია ყირიმის ომმა. ეხლა ინგლისელებმა და ფრანცუზებმა ურჩიეს შამილს, რომ იგი შეერთებულიყო ოსმალოსთან ქუთაისში და ერთად ეომათ რუსების წინაალმდეგ. მაგრამ შამილს არ მოეწონა (საფუძვლიანადაც გასაჯა) ეს პლანი: ის მიჰხვდა, რომ მთელის საქართველოს გადარევა მისის მხრით ნამეტანი თავის გადადება იქნებოდა.

ოსმალეთი ცალკე დამარცხდა კავკასიაში, და ამის შემდეგ რუსებს შეეძლოთ, უფრო დიდი ჯარი გაეგზავნათ შამილის წინააღმდეგ. ამიერად ამ მხარის დაპყრობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დასავლეთისა, რადგანაც აქ მოწინააღმდეგები შეგროვილნი იყვნენ და ყველანი ერთს და იმავე დროს ომობდენ, ასე რომ ერთჯერ დამარცხება, მათი ბოლო იქნებოდა. მაშინ როდესაც დასავლეთით, რუსები ერთჯერ გაიმარჯვებდენ რომელსამე სოფელზე, წამოჰყობდა თავს მეორე, მეორეს მერმე მესამე და სხ. — მართლაც, შამილის მომხრები, შემდეგ ამისა, მალე დამორჩილდნენ; თვით შამილიკი შევიდა ერთს მაღალს მთაზე, სახელდობრ გუნიბდაღზე და იქ დადგა უშიშრად. რამდენჯერაც მას იქ რუსები მიადგებოდნენ, ის ეტყოდა მათ „ეს მთა, სადაც მე ვარ, მაღალია, ღმერთი, რომელსაც მე ემსახურებ, კიდევ უფრო მაღლაა, და თქვენ კი სულ ძირსა ხართ; აბა რას მიზამთ?“

მაგრამ ერთს ბნელს ღამეს რუსები ავიდენ ხოლმე ამ მთაზე! შამილმა, როგორც მაჰმადიანმა, ბედწერას გულგრილად დაემორჩილა. ის მიიყვანეს ბარიატინსკისთან, რომელმაც ჰკითხა მას: „თქვენ ბრძანდებით შამილი?“ — მე გახლავარ, უპასუხა შამილმა. „მე არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია აქ; მე გაგზავნით თქვენ პეტერბურღში და იქ გადაჰსჭრიან თქვენს ბედს.“ ეს მოჰხდა 1859 წ. პეტერბურღიდგან შამილი გაგზავნეს კალუგაში, სადაც მალე მოკვდა (1861 წ.) —

ეგრე გათავდა კავკასიის გრძელი ბძოლა. თუმც კიდევ დარჩა 1864 წლის შემდეგ, ე. ი. ჩერქეზების და აბხაზების დამორჩილების შემდეგ, წვრილნი ხალხები, რომელნიც ბრძოდენ კიდევ, მაგრამ ამ ხალხებმა არ შეეძლოთ ნამდვილი წინააღმდეგობა გაეწიათ.

ამიერიდგან რუსებს უჭირავსთ მთელი კავკასია..

პარიჟი 2 აპრილი 1876 წ.

შობლოს; განუცხადებ იტალიას რომ ჰყვავოდეს ის ბრძნულს მმართებლობის ქვეშ მოქალაქობით, თავისუფლებით და ყოველ მხრივ კეთილდღეგრძელობით. შემიწირავს ნაწილი კაპიტალისა იმ მუშაობისთვის, რომელიც დანიშნულია მდინარეს ტიბრისათვის რომში.—დჟ. გარიბალდი.“

— ბელგრადში (სერბიაში) იდღესასწაულეს 9 აპრილს ერთ წლიური იუბილეი, მას აქეთ რაც სერბია თათრების მონობიდამ განთავისუფლებულა. სიხარულს და აღტაცებას ამ დღეს სამზღვარი არ ჰქონდა; თვითონ თავადმა მილანმაც მიიღო მონაწილეობა და რამოდენიმე სიტყვაც ჰსთქვა ხალხში; მაგრამ რადგან სერბიამ თავი განითავისუფლა ხრმალით ამის გამო დღესასწაულსაც მხედრობითი ხასიათი ჰქონდა. სალამოს ხალხი წავიდა „ნაციონალურ თეატრში“ პატრიოტიული სპეკტაკლის სანახავათ.—ხალხმა მოიგონა თავისი გმირები, რომელთაც თავი შესწირეს მამულს განთავისუფლებისათვის 1815 წ. და ისე აღელდა, რომ მასთან მათი შემაფერხებელიც გაიხსენა. ამის გამო ხალხმა განიზრახა დემონსტრაციის მოხდენა ავსტრიის ელჩის სახლთან. ეს ჰაზრი ბევრმა მოიწონა; შეკრბა ერთს წამს ურიცხვი ხალხი, გაიყოლია თან რამდენიმე ციგანი თავიანთ მუზიკალურ ინსტრუმენტებით, მივიდა ავსტრო-ვენგრიის დიპლომატიური აგენტის სახლთან და უძღვნა მას კატის კონცერტი.

ნაშვილლში (ამერიკაშია) კრება ჰქონიათ ზანგებს (ნეგრებს). ამ აპრილში, ამ კრებას გარდაუწყვეტია, განუცხადოს თავისი ერთგულება და მორჩილება რესპუბლიკურს დაწყობილებას და განფანტოს ის აზრები, რომელნიც მათ მტერებს განუვრცელებიათ, ვითომ ზანგები მტრულად ხედავდეს წინანდელთ მონათმებატონეებს. ზანგებს აქვს სახეში მხოლოდ ის, რომ მოისპოს მათსა და თეთრს ხალხს შუა განმაცალკევებელი და განმყოფელი დაბრკოლებანი, რომელნიც მათს პოლიტიკურ განყობილებაში სუფევს.

— მექსიკაში აჯანყებულა თითქმის მრთელი ხალხი, რომელსაც მართებლობის შეცვლა ჰსურს.

## ნარევი

წასრულ წელს, როცა ყოვლად სამღვდელო დადიოდა თავის კრებით სოფლებათ და მ—ები სადილათ პატიჟობდენ მას, ჩვეულებისა მებრ, ერთმა პატივცემულმა მ—მა და მისმა ძმამ დ—მ.ჩ., ჯვარცმის საზოგადოების მცხოვრებლებმა, მოჰპარეს ძროხა ერთს გლეხს და თავის ძვირფას სტუმრებს მიართვეს სადილათ. ვერც საჩივარმა და ვერც მოწმემ ვერ უშველა ამ საწყალ გლეხს თურმე.

*
* *

ამას წინეთ ერთს კაცს მარცხენა თვალი დაჰკარგოდა და დიდის ძებნის შემდეგ, არ იქნა, ვერ მიაკვლია გზა. აჰან შენი ჭირი წაიღოს! ეხლა, ბატონო, თ. დ. გ. მარჯვენა თვალი დაჰკარგვია და დიდის ძებნის შემდეგ გამოჩნდა, რომ 22-ს მარტს, მისი მარჯვენა თვალი იპოვეს, დ. გ—ის სახლში.

### ა ნ ე ქ დ ო ტ ე ბ ი:

ერთ კაცს უყიდა თავის მეგობარმა ორის ადგილი თეატრში. ის მოემზადა იქ წასასვლელათ ცოლიანათ. შვილმა გაუგო მშობლებს თეატრში წასვლა და სთხოვა.

— მამა, შენ თეატრში მიდიხარ, მგონი და წამიყვანე მეცა!

— არა, შვილო, არ შეიძლება, მე მხოლოდ ორი ადგილის ბილეთი მაქვს და შენ სადღა უნდა დაჯდე.

— ჰო და, რათ შეირთე, მამა ჩემო, დედა ჩემი! დაიწყო ტირილი ყმაწვილმა: ის რომ არ გყოლოდა ერთი ადგილი ხომ ჩემთვის დარჩებოდა!...

*
* *

მშვენიერი ფარჩის მაღაზიის. შიგ ვაჭრობს ორი ევროპიულად მორთული ვაჭარი. მიდის ქუჩაში ამოვლებული ქურჩი და ეუბნება:

— გამარჯობათ! ვაჭრებო, კუპრს არა ჰყიდით?

— არა, ჩვენ სულელებსა ვყიდით!

— სულელებსა? ჰო, კარგი ვაჭრობა გქონიათ, ორიღა დაგრჩომიათ გასასყიდლათ! ღმერთმა ხეირი მოგცესთ! მშვიდობით!...

## განცხადებანი

დაიბეჭდა „ექიმბაში“—კომედია მელვინ ეთხუცესოვისა და ისყიდება პალანდაძის წიგნების მაღაზიაში. 3—2

**თფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** აცხადებს, რომ 1 იენისს 1876 წ. 12 საათიდამ 2 საათამდი თვით ბანკის სამმართველოში, თფილისში, ისყიდება ანნა იაგორის ასულის ავეტისოვის უძრავი მამული, რომელიც თფილისის ბანკშია დაგირავებილი,—დაფუძნებათა მებრ წესდების §§ 29 და 30.

ეს მამული მდებარეობს თფილისის უეზდში სართაჭალის უჩასტკაში და შეიცავს სათიბ ალაგს 265 დესიატინას და 2235 ოთხ-კუთხ საჟენს.

აღნიშნული მამული გაიყიდება ვრცლად-ერთიანად და ვაჭრობა დაიწყება თანხმად წესდების § 19 სა იმ სუმმიდამ, რომელიც მაზედ ძევს გადასახდელად. ეს არის 12,995 მ., რომელიც შეიცავს: ვალს ბანკისას, ვადით გატანილს, ხარჯს, მოთხოვნილების მებრ მამულისა, გაყიდვისათვის. ამასთანავე პატივი აქვს ბანკს განაცხადოს, რომ ნომინალური (ნამდვილი) ვალი, ბანკში შემოსატანი დამგირავებელზე, რომელიც შეიცავს 12,468 მ. და 24 კ., შეიძლება გარდაიხადოს ამავე ბანკისა გირაოს ფურცლების შემოტანით მანეთით მანეთზე მათის ნომინალური ღირებისა მებრ და კიდევ ეს ვალი შეიძლება გარდიტანოს ბანკის თანხმობით მყიდველზედ, თუ ეს უკანასკნელი დააკმაყოფილებს ბანკს დანაშთიენ გადასახადით სრულიად ნაღდის ფულით.

თუ გაყიდვა არ მოხდა 1 იენისს 1876 წ. წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1876 14 იენისი სათვის.

(3—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა „ზმა“ ანუ „ოხუნჯობა“ ალფავის წესით ანბანზედ შედგენილი.

ალექსანდრე ელისბარის ძის ნათიევისაგან.

ფასი ერთი შაური

**იაფი ფასის** და მებელით მორთული ოთახები მაქვს გამართული ტერ-სატუროვის სახლში, ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლის პირ-და-პირ. დაწვრილებითი ცნობების შეტყობა იქვე შეიძლება მიხაილ ხარებავა.

(3—2)

**თფილისის საექიმო სამკურნალო**
(4 აპრილის სახსოვრად)
ერევნის მაედანზე, ჩიტაძოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი ტელიაფუსი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ლისიცევი—შინაგანს ავათმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** გრაბოვსკი—ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაფუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ლისიცევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**LA VELOUTINE**
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ი ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზრდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.
შ. ფაი—გამომგონი.
**pommade satin**
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156—26

დაიბეჭდა და ისყიდება
**თამარ საქართველოს ბატონიშვილი**
ისტორიული რომანი
გ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა.
**თფილისში:** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ოთხშაბათს, დილით.
ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. . | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ. ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ: ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 აპრილს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 13 აპრილს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | — | 90 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 63 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 6 | 15 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Апрѣля 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.